26/02/2025

MES 9 25 0000208656

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი, 12.02.2025
სხდომის დაწყების დრო: 12:00
დასრულების დრო: 13:00
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ იოსელიანი
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი (I და II საკითხები)
სხდომის მდივანი: მიხეილ გურგენიძე (III საკითხი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2025 წლის 12 თებერვალს.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **თამარი იოსელიანი -** შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ზურაბ ორჯონიკიძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **დავით ლეშკაშელი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი;
4. **მამუკა ხუსკივაძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
5. **მიხეილ გურგენიძე -** შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ- პროფესორი;
6. **ლევან მიდოდაშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი;

8. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
10. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
12. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
13. **კახა შენგელია** - შპს ,,კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **გვანცა ძიძიგური -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
2. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
3. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. პარმენ ხვედელიძე - რექტორი;
2. ლალი ხვედელიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კანცლერი;
3. ელიდა ხვედელიძე - რექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით;
4. ასმათ დიასამიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. ოთარ ცინცაძე - ISO მენეჯერი;
6. ქეთევან გოლეთიანი - ბიზნესის და ლოგისტიკის ფაკულტეტის დეკანი;
7. ეკატერინე მუსხაჯბა - საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი;
8. გიორგი გაბედავა - საერთაშორისო ურთიერთობების სამსხურის ხელმძღვანელი;
9. ბადრი გეჩბაია - კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. ემზარ გვარიშვილი - საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის ხელმძღვანელი;
11. ლევან ბოლქვაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საზღვაო ნავიგაცია“ ხელმძღვანელი;
12. კახაბერ ხინთიბიძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „გემის მექანიკა“ ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):

1. გივი სანაძე
2. დავით სიხარულიძე
3. შოთა ფოთოლაშვილი
4. ნინო გორგოშაძე

5. ქრისტინე ახალაძე
6. გიორგი მერაბიშვილი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, **თამარ იოსელიანმა.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა, შუამდგომლობა დააყენა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2024 წლის 13 სექტემბრის საბჭოს №1118782 და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №1318296 გადაწყვეტილებებში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 13 სექტემბრის №1118782 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №1318296 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის განხილვა.

სხდომის დაწყების დრო: 12:00

1. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წ ევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტმა ქრისტინე ახალაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. პირველ რიგში მან მადლობა გადაუხადა დაწესებულებას თანამშრომლობისთვის. რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 1-ელი სტანდარტი - „უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიები“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა დადებითად. მე-2 სტანდარტთან დაკავშრებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაციები უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების ფუნქციების მკაფიო გამიჯვნასა და სხვადასხვა კომპეტენციების მქონე ორგანოების გადაწყვეტილებებში ურთიერთჩარევის მინიმუმამდე დაყვანასთან დაკავშირებით. ასევე გაიცა რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტთა ჩართულობა მართვის პროცესში და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა უნდა გააძლიეროს და დაადგინოს ინტერნაციონალიზმის კონკრეტული სამიზნე/მაჩვენებლები. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს მმართველ ორგანოებში არჩეულ პირთა ჩართულობა და ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი საქმიანობის პრინციპის განმტკიცებას. ასევე, რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა დანერგოს სტუდენტთა ელექტრონული სისტემის ეფექტური მონიტორინგის მექანიზმები. უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესის სისტემური მონიტორინგი უნდა წარმართოს ყველა საჭირო ეტაპის სრული დაცვით, ხოლო შედეგებზე რეაგირება უნდა იყოს უზრუნველყოფილი და შემოწმებადი. რეკომენდებულია სტუდენტების აქტიური მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში და მათი ჩართულობით შედეგების გაუმჯობესებაში. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პლაგიატის გამოვლენის დამატებითი მექანიზმები, რათა მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი არ იყოს ერთადერთი და ხისტი კრიტერიუმი. აამაღლოს საუნივერსიტეტო საზოგადოების ცნობიერება ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხზე და ამ მიზნით დაგეგმოს შესაბამისი

ღონისძიებები, რომლებიც არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ პლაგიატის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით. შეიმუშაოს მიზანმიმართული დასაქმების სტრატეგიები, საზღვარგარეთიდან მეტი თანამშრომლის დასაქმება. უნდა ჩატარდეს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევები არსებული პოლიტიკის ეფექტურობის შესაფასებლად და პერსონალის მართვის გაუმჯობესებული სფეროების გამოსავლენად. რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გადახედვა და კორექტირება სწავლებისა და კვლევის დაბალანსებული და ეფექტური გარემოს უზრუნველსაყოფად, თანამშრომელთა სამუშაო დატვირთვის მუდმივი განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი დრო კვლევებისთვის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარებისთვის საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად. უნივერსიტეტმა უნდა შექმნას მეტი შესაძლებლობა პერსონალისთვის, რათა კვლევით საქმიანობაში და აკადემიურ კონფერენციებში მიიღონ მონაწილეობა, რომელიც ხელს შეუწობს ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. ქრისტინე ახალაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში საზღვაო პროგრამების ხარისხისა და რელევანტურობის გასაძლიერებლად აუცილებელია, რომ კვალიფიციური და გამოცდილი მეზღვაურების აკადემიური პერსონალის მოზიდვა განახორციელოს უნივერსიტეტმა. ასევე უნივერსიტეტის შინაგანაწესის გადახედვა უნდა მოხდეს, კერძოდ, უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერის დოკუმენტებისა თუ სწავლის მაღალი დონის უზრუნველყოფის ხარისხის პროგრამაზე საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის ალბათობის შეზღუდვის მიმართულებით. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდეს საქართველოს უმაღლესი განათლების კანონის, განსაკუთრებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/N ბრძანების მიხედვით, რომელიც შეეხება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას. რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერება უნივერსიტეტის აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ასევე რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმები სამეცნიერო ნაშრომების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების გასაზრდელად. ექსპერტის თქმით, ავტორიზაციის მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა, რომ უმჯობესი იქნებოდა მოქმედი მეზღვაურები ჩართული იყვნენ სწავლების პროცესში, რათა საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ სტუდენტებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის კონფერენციებში ჩართვას და დაინტერესებას, მაგრამ ავტორიზაციის პროცესში მკაფიოდ არ იყო გამოკვეთილი მათი ჩართულობა საკონფერენციო საქმიანობებში, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია უნივერსიტეტის მიერ. ასევე მნიშვნელოვანია მოწვეული სპეციალისტების ჩართულობა აკადემიურ საქმიანობაში, რადგან შეიმჩნევა, რომ მათი რაოდენობა აჭარბებს აკადემიური პერსონალის რაოდენობას. შესაბამისად, სამეცნიერო საქმიანობის უკეთ განსაზღვრისთვის ამის გათვალისწინება აუცილებელია. ექსპერტმა ნინო გორგოშაძემ ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის პროგრესს, რომელიც ავტორიზაციის პროცესში გამოიკვეთა. დაწესებულებამ ჩაატარა სარემონტო სამუშაოები, განაახლა აუდიტორიები, ინფრასტრუქტურა და სხვა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანთლებლო პროგრამებისთვის აუცილებელი ინვენტარის განახლების კუთხითაც აქვს უნივერსიტეტს გადადგმული ნაბიჯები, კერძოდ შეიძინა ახალი სიმულატორები და მოაწყო შესაბამისი ლაბორატორიები. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ უნივერსიტეტი საკმაოდ კარგ დონეზეა. მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ საზღვაო პროგრამები საფუძვლიანად განახორციელონ ახალი ინვენტარით. მისი თქმით, შესაძლოა სხვადასხვა პროგრამები იყენებდნენ ერთსა და იმავე სიმულატორებს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს თუ როგორ არის გადანაწილებული მათი გამოყენების დროები, თუმცა მიუხედავად ამისა, შესაძლოა რაოდენობის სიმცირიდან გამომდინარე მოხდეს შეფერხება, ამიტომ ექსპერტთა მიერ გაიცა რჩევა, რომელიც გულისხმობს კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სიმულატორების რაოდენობის გაზრდას. ბიუჯეტის ნაწილში უნივერსიტეტმა წარმოადგინა, რომ გააჩნიათ შესაბამისი ფინანსური რესურსი, რომელსაც იყენებენ უნივერსიტეტის განვითარებისა და პროგრამებისთვის, თუმცა

ბიუჯეტში წარმოდგენილი იყო მხოლოდ სასწავლო ცენტრიდან შემოსული თანხები და დეტალურად არ იყო ჩაშლილი ხარჯები. საჭიროა, რომ უფრო ნათელი იყოს ფინანსური რესურსების აღქმა, ამისათვის კი აუცილებელია მათი გამიჯვნა, ცალ-ცალკე წარმოდგენა და კონკრეტულად ჩაშლა.
ნინო გორგოშაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს კარგად განვითარებული საგანმანათლებლო რესურსი, ბიბლიოთეკა, სტუდენტებისთვის მოსასვენებელი სივრცეები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მე-7 სტანდარტი სრულად დამაკმაყოფილებელია. ექსპერტმა დავით სიხარულიძემ მე-6 სტანდარტზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და წარმომადგენლებს მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების აუცილებლობა, რაც დეტალურად არის გაწერილი სტრატეგიულ გეგმაში, რომელშიც წარმოდგენილა თუ როგორ უნდა მოხდეს სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება. ამ მიმართულებით ბიუჯეტიდან გარკვეული თანხებიც არის გამოყოფილი, თუმცა როდესაც იდგმება გარკვეული ნაბიჯები სამეცნიერო კუთხით, მას სჭირდება გარკვეული დრო შედეგებისათვის. სწორედ შედეგების კუთხით არის გაცემული რეკომენდაციები, რომელიც გულისხმობს, რომ უნდა მოხდეს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების წახალისება აკადემიური პერსონალისათვის. ასევე მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლება, იმისათვის რომ მეტად იყვნენ კვლევაზე ორიენტირებულნი. 7.5 კომპონენტთან დაკავშრებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს, რადგან დეტალურად არის გაწერილი შემოსავლები და ხარჯები. ექსპერტმა გიორგი მერაბიშვილმა 5.1 სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაიცა სამი რეკომენდაცია, რომლთა შესრულებაზე უნივერსიტეტმა გამოთქვა მზაობა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემობას, რომ დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფს დახვდა ძალიან კარგი გარემო, რაც მოწმობდა იმაზე, რომ უნივერსიტეტი მზადაა გადადგას ყველა ნაბიჯი განვითარებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი, გიორგი გაბედავა, მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ საერთო ჯამში გაიცა 21 რეკომენდაცია და 13 რჩევა სტანდარტების მიხედვით. ინსტიტუციამ ორ სტანდარტში მიიღო შესაბამისობა, კერძოდ, პირველ სტანდარტში, რომელიც გულისხმობდა ბნსუ-ს მისიასა და სტრატეგიულ განვითარებას და მე-3 სტანდარტში - საგანმანათლებლო პროგრამები. დანარჩენი 5 სტანდარტი „მეტწილ შესაბამისობაშია“. გიორგი გაბედავამ ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულება გამოთქვამდა მზაობას რეკომენდაციების შესრულების შესახებ, რადგან ინსტიტუცია აღიქვამდა მათ როგორც განვითარებაზე ორიენტირებულს. მან აღნიშნა, რომ სრულიად ეთანხმება დაწესებულება 2.1 სტანდარტის რეკომენდაციას, რომელიც გულისხმობს მკაფიოდ გაიმიჯნოს უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების ფუნქციები და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი განსხვავებული კომპეტენციების მქონე სტრუქტურული ერთეულების გადაწყვეტილებებში ჩარევა. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის წესდებაში დეტალურად არის გაწერილი მმართველი ორგანოების ფუნქციები და კომპეტენციები, თუმცა რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტის წესდებაში და შემდეგ უკვე შინაგანაწესში მკაფიოდ გაიმიჯნება, რათა უფრო ნათელი და გასაგები იყოს უცხო თვალისთვის მმართველი ორგანოების ფუნქციები, მოვალეობები და ა.შ. წესდებაში ცვლილების შეტანა დროს საჭიროებს, უნივერსიტეტმა კი უკვე დაიწყო მასზე მუშაობა და შესაბამისი წესების დაცვით მოხდება ცვლილების შეტანა. შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც იმავე ქვესტანდარტში არის მოცემული, გულისხმობს, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს მართვის პროცესებში სტუდენტების ჩართულობა. ამასთან დაკავშირებით გიორგი გაბედავამ განმარტა, რომ ინსტიტუციის მმართველი ორგანოების თითოეულ ეტაპზე სტუდენტები წარმოდგენილნი იყვნენ აკადემიურსა და ფაკულტეტის საბჭოში. გარდა ამისა, ნებისმიერი ძირეულ პროცესში, რომელიც მიმდინარეობს უნივერსიტეტში, ჩართულია სტუდენტი. ინტერვიუების დროს ხდება სტუდენტთა შერჩევა ცენტრის მიერ. აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველი კი არის ის, რომ ეს კონკრეტული

წევრი-სტუდენტები არ იქნენ მიყვანილი ინტერვიუზე ან შერჩეული. შესაბამისად, ინსტიტუცია გეგმავს, გარდა იმისა, რომ საბჭოს წევრი სტუდენტების ცნობიერება გაზარდოს ამ მიმართულებით, ჩაატაროს ინტენსიური შეხვედრები ზოგადად ინსტიტუციის სტუდენტებთან, რათა ყველამ იცოდეს საკუთარი ფუნქცია/მოვალეობები. მესამე რეკომენდაციის მიხედვით რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სამეცნიერო - კვლევითი პროცესების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა საჭირო მექანიზმების შემუშავებით და ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის განსაზღვროს კონკრეტული სამიზნე ნიშნულები. დაწესებულება მიიჩნევს, რომ ეს მართლაც არის მათი სუსტი მხარე, მიუხედავად იმისა, რომ იხარჯება დიდი რესურსი მის გასავითარებლად, სამწუხაროდ, კვლავ რჩება სუსტ მხარედ და ინსტიტუცია აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას, რათა გაძლიერდეს ეს მიმართულება. შესაბამისმა სამსახურმა უკვე დაიწყო კვლევის ინტერნაციონალიზაციის კუთხით სამიზნე ნიშნულებისა და სამოქმედო გეგმის შედგენა, რომელზეც განისაზღვრა კონკრეტული პერიოდი და პასუხისმგებელი პირები. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მმართველ ორგანოებში არჩეული პირების მონაწილეობა და მხარი დაუჭიროს მათ დამოუკიდებელ ქმედებებს. დაწესებულების წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ინტერვიუების დროს მოხდა ისეთ პირთა ინტერვიუირება, რომლებიც დიდი დოზით არ არიან ჩართული ამ მმართველ ორგანოებში და შესაბამისად, პასუხები არ იყო დამაკმაყოფილებელი, რის საფუძველზეც გაიცა რეკომენდაცია. აღნიშნულ რეკომენდაციას ეთანხმება უნივერსიტეტი. მისი თქმით, დაწესებულება გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს და ბნსუ-ს თითოეული თანამშრომელი, შეიძლება ითქვას, ვალდებული იქნება იცოდეს მმართველი ორგანოების ფუნქციები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები. შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სტუდენტური ელექტრონული სისტემის ეფექტური მონიტორინგის მექანიზმები. გიორგი გაბედავამ განმარტა, რომ პროგრამაში ტექნიკური ხარვეზებიდან გამომდინარე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად უკვე დგინდება მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს როგორც ტექნიკურ, ისე ხარისხობრივ მონიტორინგს. 2.2 სტანდარტში მეექვსე რეკომენდაციის მიხედვით რეკომენდებულია, სისტემატურად განხორციელდეს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს ყველა საჭირო ეტაპთან სრულ შესაბამისობას და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება იქნება გარანტირებული და შემოწმებადი. დაწესებულება ეთანხმება ამ რეკომენდაციას და აცხადებს, რომ გააძლიერებს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების მონიტორინგის სისტემას. კერძოდ, უზრუნველყოფს მონიტორინგის პროცესის ყველა აუცილებელი ეტაპის სრულფასოვან განხორციელებას, მათ შორის, მონაცემების სისტემურ შეგროვებას, შეგროვებული მონაცემების ანალიზის, მის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებას, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს და განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობის შეფასებას, რაც უნივერსიტეტს მისცემს იმის საშუალებას, რომ მიღებული შედეგები გამოქვეყნებულ იქნეს განვითარების პროცესში. მეშვიდე რეკომენდაციის მიხედვით რეკომენდებულია, სტუდენტების აქტიური მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში და მათი ჩართულობა ხელს უნდა უწყობდეს შედეგების გაუმჯობესებას. მან აღნიშნა, რომ ინსტიტუციას არსებობის დიდი ისტორია აქვს. წლებია უკვე ხარისხი დანერგილია უნივერსიტეტში, თუმცა ინტერვიუების დროს სტუდენტებმა ვერ დაადასტურეს კვლევებში მონაწილეობა, ამიტომ დაწესებულება მზადაა იმუშაოს ამის გამოსწორებაზე. 2.3 სტანდარტში რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პლაგიატის გამოვლენის დამატებითი მექანიზმები, რათა მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი არ იყოს ერთადერთი და ხისტი ინდიკატორი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი იყენებს ტურნიტინის (Turnitin) პროგრამას, რათა დადგინდეს მსგავსების კოეფიციენტი სტუდენტის ნაშრომთან მიმართებით, თუმცა გარდა ამისა, როდესაც მაგისტრანტები სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობენ მათ ჰყავთ თემის ხელმძღვანელი, რეცენზენტი. ეს მექანიზმები დადგენილია იმიტომ, რომ მოხდეს თვისობრივი შეფასება და ის

მხოლოდ პლატფორმაზე არ იყოს დაფუძნებული. ყველაფერი ამის გათვალისწინებით უნივერსიტეტი კიდევ მოიძიებს და დანერგავს მექანიზმებს ხარისხის გაუმჯობესებისათვის. 4.1 სტანდარტის მიხედვით რეკომენდებულია, უცხოეთიდან მეტი პერსონალის მოზიდვის მიზნით, შემუშავდეს უფრო მიზნობრივი დასაქმების სტრატეგიები. ასევე, რეგულარულად ჩატარდეს პერსონალის კმაყოფილების კვლევები არსებული პოლიტიკის ეფექტურობის შესაფასებლად და პერსონალის მართვის გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად. ინსტიტუციას მუშაობა დაწყებული აქვს ამ მიმართულებითაც. განვითარების სტრატეგიის 24-30 წლების მე-4 მიზანში, რომელიც ეხება ინტერნაციონალიზაციას, არის გამოყოფილი კონკრეტული ამოცანა და მის ქვეშ არის გაწერილი კონკრეტული რაოდენობრივი ინდიკატორები პერიოდის მიხედვით, სადაც უნივერსიტეტი აცხადებს წლების მიხედვით როგორ უნდა მოახდინოს უცხოელი თანამშრომლების ზრდის დინამიკა. ამას, რა თქმა უნდა, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განახორციელებს ინსტიტუცია. 4.2 სტანდარტი - რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გადახედვა და კორექტირება, უსდ-ში შეიქმნას სწავლებისა და კვლევისთვის ეფექტური გარემო. უნივერსიტეტის პროფილი არის ძირითადად საზღვაო პროფილის მიმართულების და შესაბამისად, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე ძირითად განმახორციელებელ დარგობრივ საგნებზე არიან აქტიური მოქმედი მეზღვაურები, რომლებიც საქართველოში ყოფნისას თანამშრომლობენ დაწესებულებასთან საგანმანათლებლო მიზნებისთვის, თუმცა ამ მიმართულების უფრო გაუმჯობესებისათვის უნივერსიტეტს მუშაობა დაწყებული აქვს. 24 წლის განმავლობაში მოხდა 9 აკადემიური პერსონალის არჩევა და დღემდე მიმდინარეობს ამაზე მუშაობა, რათა მოხდეს თანაფარდობის დაბალანსება აკადემიურსა და მოწვეულ პერსონალს შორის. რეკომენდებულია, მოხდეს პერსონალის დატვირთვის მუდმივი განახლება, რათა მათ სწავლების პასუხისმგებლობებთან ერთად, ჰქონდეთ საკმარისი დრო კვლევისთვის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარებისთვის საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩამოთვლილი 4 პუნქტი შეტანილია უნივერსიტეტის დადგენილ ცვლილებაში. მათ პერსონალის დატვირთვებთან მიმართებით დადგენილი აქვთ მაქსიმუმისა და მინიმუმის ნიშნულები, რაც მოიაზრებს ოთხივე კომპონენტის შესრულებას, თუმცა უნივერსიტეტი იზიარებს ამ რეკომენდაციას და ამასთან მიმართებით თითოეულ კომპონენტზე დადგინდება ზღვარი, რათა მეტად ნათელი იყოს ეს უცხო თვალისთვის. ასევე რეკომენდებულია, პერსონალს მიეცეს მეტი შესაძლებლობა ჩაერთოს კვლევაში და მონაწილეობა მიიღოს აკადემიურ კონფერენციებში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. გიორგი გაბედავას თქმით, უნივერსიტეტს აქვს სპეციალური დოკუმენტი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარების დებულების სახით და ამ დებულების შესაბამისად დანერგილია მექანიზმი, სადაც არის ყველა ის მხარდამჭერი მექანიზმი აღწერილი, რომელსაც სთავაზობს აკადემიურ პერსონალს ამ მიმართულებით. ეს არის კონფერენციაში მონაწილეობის, სამივლინებო ხარჯებისა თუ სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების დაფინანსება. მექანიზმები, რა თქმა უნდა, ეფექტურია მათთვის, ვინც იყენებს, თუმცა უნივერსიტეტი გეგმავს, რომ დააწესოს წამახალისებელი მექანიზმები, ეს იქნება მონეტარული თუ არამონეტარული, რათა მეტად მოტივირებული გახდეს აკადემიური პერსონალი ამ მიმართულებით. რაც შეეხება პერსონალის სიმცირეს, ამასთან დაკავშირებით გიორგი გაბედავამ განმარტა, რომ პერსონალის დიდი ნაწილი არის აქტიური მეზღვაური, რომელიც მუშაობს საერთაშორისო გემებზე და მხოლოდ საქართველოში ყოფნისას ხდება დაწესებულებასთან საქმიანი კონტაქტი, მაგრამ უნივერსიტეტი ამ მიმართულებითაც მუშაობს და გააგრძელებს მუშაობას. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების, კერძოდ, დანართი 11-ის – „უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერის“, გადახედვა და საერთაშორისო სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობის შეზღუდვა, თუ ისინი მაღალ დონეზე არ ფლობენ პროგრამის სწავლების ენას. ამასთან მიმართებით უნივერსიტეტს უკვე შემუშავებული აქვს „ენების კომპეტენციის დადასტურების წესი“, რაც გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერ პროგრამაზე, რომელიც მოითხოვს ენების

კომპეტენციის დადასტურებას, მოხდება ამ წესის შესაბამისად აპლიკანტის ენის კომპეტენციის შემოწმება, დადასტურება და შემდეგ თანმიმდევრული პროცესები. ასევე რეკომენდებულია, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა დაიცვას საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობა, განსაკუთრებით კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/N ბრძანება, რომელიც შეეხება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესებსა და მოთხოვნებს. ამასთან მიმართებით უნივერსიტეტი ექსპერტების მოსაზრებას იზიარებს. სწორედ ამას ეხმიანება მე-5 რეკომენდაცია, სადაც აღინიშნა, რომ ელექტრონული სისტემის მკაცრი მონიტორინგი იქნება ჩაშვებული, რათა მსგავსი ტიპის ხარვეზის განმეორება არ მოხდეს. რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერება უნივერსიტეტის აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამასთან მიმართებით აღნიშნა, რომ აქტიურად იმუშავებს ბნსუ სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერებაზე უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამისათვის უნივერსიტეტი გეგმავს, რომ სტუდენტთა რაოდენობა გაზარდოს მართვის ორგანოებში, დაორგანიზოს რეგულარული საკონსულტაციო შეხვედრები აკადემიურს საკითხებზე, გააძლიეროს სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები, დახვეწოს უკუკავშირის სისტემა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მოსაზრებების ეფექტურ გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმები სამეცნიერო ნაშრომების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების გასაზრდელად. როგორც აღინიშნა, უნივერსიტეტს ბიუჯეტში აქვს გამოყოფილი თანხა პერსონალის განვითარებისთვის. 6.2 სტანდარტში მოცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი მათი კვლევითი კომპონენტების გაუმჯობესების გზით.“ ამასთან მიმართებით უნივერსიტეტში დანერგილია მექანიზმი. როდესაც სტუდენტი ირჩევს სამაგისტრო ნაშრომს, იმ წუთიდან დაცვის მომენტამდე მას ჰყავს ხელმძღვანელი, რეცენზენტი და ეს ნაშრომი გადის შემოწმებას, თუმცა უნივერსიტეტი ამ მიმართულებით მუშაობს და ორიენტირებულია ამ კომპონენტის გაძლიერებაზე, კერძოდ, ჩატარდება შესაბამისი ტრენინგები როგორც სტუდენტებისთვის, ისე ხელმძღვანელებისა და რეცენზენტებისთვის. რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობა. ყოველწლიურად ინსტიტუცია ატარებს სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციას, რაც მოისაზრებს, რომ ბნსუს როგორც უცხოელი პარტნიორი დაწესებულების, ისე ადგილობრივი დაწესებულების სტუდენტები ჩართული არიან ამ კონფერენციაში. 2024 წელს მერვედ ჩატარდა უკვე ეს კონფერენცია და ყოველწლიურად საშუალოდ 30-40 სტუდენტი იღებს მონაწილეობას. ინსტიტუცია აცნობიერებს, რომ ეს რაოდენობა მცირეა და რა თქმა უნდა, ამ მიმართულებითაც იმუშავებს ის, რათა სტუდენტთა დაინტერესება გაზარდოს კონფერენციებში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით. 7.3 სტანდარტში მოცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ვებგვერდზე განათავსოს ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის ფინანსური ანგარიშები, საბაზისო სტატისტიკა, განხორციელებული კვლევები და მათი შედეგები. ასევე, უზრუნველყოს, რომ ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი ინფორმაცია იყოს იდენტური.“ გიორგი გაბედავას თქმით, ინსტიტუცია ყოველწლიურად აჯამებს საქმიანობას. შესაბამისად, შეჯამდა 2024 წლის უნივერსიტეტის საქმიანობაც, გაკეთდა შესაბამისი ანგარიში, რომელიც ყოვლისმომცველია, ის შეიცავს როგორც ფინანსურ, ისე ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს. დოკუმენტი კი თარგმნის პროცესშია და განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. ამ ეტაპზე რა ინფორმაციაც არის განთავსებული უნივერსიტეტის ვებგვერდზე წარმოდგენილია ორივე ენაზე. რეკომენდებულია, ბიუჯეტში ცალკე იყოს ასახული ისეთი ძირითადი ხარჯები, როგორიცაა ტრენინგ ცენტრისა და სასწავლო გემის საოპერაციო ხარჯები, ფინანსური რესურსების ნათლად გააზრებისა და სწორი ანალიზისათვის. ინსტიტუციის ბიუჯეტში გამოყოფილია როგორც ხარჯის, ისე შემოსავლის ნაწილი, თუმცა რეკომენდაცია დაწესებულებისთვის არის მისაღები და შესაბამისად, გაიმიჯნება აღნიშნული მიმართულებით ხარჯები. გაცემულ ცამეტ რჩევასთან

დაკავშირებით გიორგი გაბედავამ აღნიშნა, რომ ყველა მისაღებია უნივერსიტეტისთვის, რადგან ისინი მიმართულია ინსტიტუციის განვითარებაზე და მას დაწესებულება შემდგომი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაითვალისწინებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა, ექსპერტებს მიმართა, რომ 5.1 სტანდარტში მოცემულ 15 უკრაინელ სტუდენტთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ ავტორიზაციის საბჭოსთვის. ექსპერტმა გიორგი მერაბიშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგიფს მიეწოდა ცენტრში შემოსული წერილი, რომ უნივერსიტეტს ჰყავდა ჩარიცხული 15 უკრაინელი სტუდენტი 2020 წლის დეკემბრიდან 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით. ეს ინფორმაცია ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა უნივერსიტეტში ვიზიტისას და დადგინდა, რომ რეალურად ისინი მართლაც იყვნენ ჩარიცხული, თუმცა კრედიტები არ უფიქსირდებოდათ და საგნები არ ჰქონდათ გავლილი. ასევე სტატუსი ჰქონდათ ჯერ შეჩერებული, შემდეგ კი შეწყვეტილი. ამ ფაქტთან მიმართებით თარიღები არ იყო დაცული. ამიტომ გაიცა რეკომენდაცია, რომ კანონის თანახმად 45 დღის განმავლობაში თუ სტუდენტს არ უფიქსირდება რაიმე სახის აქტივობა, უნივერსიტეტმა უნდა შეუჩეროს მას სტატუსი. ასევე გაიცა რეკომენდაცია, რომ სტუდენტები, რომლებიც ქართულ პროგრამაზე ჩაირიცხებიან, აუცილებლად უნდა უდასტურდებოდეთ B1 დონე. უკრაინელ სტუდენტებთან დაკავშირებით, კერძოდ, სტატუსის შეწყვეტის დროის თვალსაზრისით უკვე 6 – 8 თვე იყო გასული და ამ პერიოდში მათ საზღვარი გადმოლახული საერთოდ არ ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლალი ხვედელიძემ, განმარტა, რომ 2022 წელს იყო პანდემია და წარმომადგენლებმა მიიღეს 3-3 სტუდენტი, მაგრამ დაგროვდა 2022-23 წლების სტუდენტები. პანდემიიდან გამომდინარე ვადები გაიწელა, ყველა სტუდენტი ჩარიცხულია გაზაფხულში და მომდევნო სემესტრში არ გამოცხადების გამო აქვთ შეჩერებული სტატუსი, თუმცა მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/N ბრძანებას აუცილებლად გაითვალისწინებს.

საბჭოს წევრმა, ლევან მიდოდაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს 4.2 სტანდარტთან მიმართებით. მასში საუბარია, რომ რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გადახედვა და კორექტირება. საბჭოს წევრს სურდა, რომ დამატებითი ინფორმაცია გაეცნოთ ექსპერტებს საბჭოსთვის, თუ როგორია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვებს შორის არსებული თანაფარდობა.

ექსპერტმა ქრისტინე ახალაძემ განმარტა, რომ თანაფარდობა საკმაოდ დიდი იყო მოწვეულ პერსონალსა და აკადემიურს შორის. 80 პირი არის მოწვეული, ხოლო აკადემიური პერსონალი ბევრად ნაკლები. ამის საფუძველზე გაიცა რეკომენდაცია, თუმცა მოწვეული პერსონალი უნივერისტეტის საქმიანობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.

ლევან მოდიდაშვილს აინტერესებდა თუ რა რაოდენობის იყო დატვირთვები, რომლებსაც აკადემიური და მოწვეული პერსონალი ასრულებდა. ექსპერტმა ქრისტინე ახალაძემ, აღნიშნა, რომ ეს დატვირთვა გადანაწილებულია დაახლოებით 50/50-ზე.

ქეთევან გოლეთიანმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი იცავს 1/25 თანაფარდობას, ანუ 1 აკადემიურ პერსონალზე 25 სტუდენტი, თუმცა პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე რაოდენობას იწვევს ის, რომ ისინი ერთ სემესტრში არ ახორციელებენ კურსს. დაწესებულებას 1 სასწავლო კურსისთვის ჰყავს 4 მოქმედი მეზღვაური, რომლებიც როტაციის პრინციპით ჩამოდიან და უნივერსიტეტი თავს იზღვევს, რომ სასწავლო კურსი არ იყოს განუხორციელებელი. მან აღინიშნა, რომ ვიზიტის დროს 28 აკადემიური პირი იყო. 2024 წლის ბოლოს კი კიდევ იქნა არჩეული პროფესიული ნიშნით მეზღვაურები და შესაბამისად, მათი რიცხვი გაიზარდა 32-მდე. მოწვეული პერსონალის რაოდენობა დიდია, რადგან ერთ კურსს ჰყავს რამდენიმე განმახორციელებელი პირი. სხდომის თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა, ექსპერტებს მიმართა კითხვით. მას აინტერესებდა, მე-7 სტანდარტის პრაქტიკის ნაწილთან მიმართებით დეტალური ინფორმაცია. ექსპერტმა ნინო გორგოშაძემ განმარტა, რომ პრაქტიკის

ნაწილი აკრედიტაციის პერიოდში უფრო ღრმად იქნება შესწავლილი. ის აუცილებელი რესურსები, რაც მოთხოვნილია დარგობრივი მახასიათებლით (სიმულატორები, ლაბორატორიები, ვორკშოპები) ყველაფერი განახლებული აქვს დაწესებულებას. ექსპერტებმა გასცეს რჩევა სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, რომ ტრენინგ ცენტრთან კვეთა აქვს სიმულატორების და შესაძლებლობის ფარგლებში მათ შეძლონ გააკეთონ ცალკე ნავიგაციისა და მექანიკის პროგრამებისთვის, რასაც დაეთანხმა ინსტიტუცია. მათ აქვთ ძველი სიმულატორები, რომელთა იმპლემენტაციასაც აპირებს უნივერსიტეტი. ექვსთვიან პრაქტიკასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს ხელშეკრულება როგორც ნავსადგურთან, ისე სხვადასხვა დამსაქმებელთანაც. ასევე სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ დაწესებულება ეხმარებათ პრაქტიკების უზრუნველყოფაში. რაც შეეხება დაწესებულების საწვრთნელ გემს, მას მხოლოდ გაცნობითი კურსისთვის იყენებენ. 6 თვიანი პრაქტიკის უზრუნველყოფისათვის მისი გამოყენება არ ხდება. მისი აზრით, უნივერსიტეტს ამ კუთხით მზაობა აქვს, კერძოდ, სტუდენტს დაეხმაროს პრაქტიკის რეალურად განხორციელებასა და უზრუნველყოფაში. დაწესებულებას აქვს პრაქტიკის განყოფილება, რომელიც უხსნის სტუდენტებს ტრენინგ-რეფორმების გამოყენების აუცილებლობას. ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დაწესებულება აქტიურად ცდილობს მოიწვიოს მეზღვაურები და ჩართოს სასწავლო პროცესში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბედავამ, აღნიშნა, რომ ინსტიტუცია წლებია მუშაობს დამსაქმებელ კომპანიებთან. ამ ეტაპზე 20 კომპანიაა, რომელიც თანამშრომლობს მათთან. BSM და შულთის მენეჯმენტი (Bernhard Schulte Shipmanagement (BSM)) მათთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია, რადგან ერთობლივად ხორციელდება 2 მიმართულების პროგრამა. ეს არის „ქადეთშიფი“, როდესაც მოდიან, არჩევენ ბავშვებს და პირდაპირ გემზე მიჰყავთ 6 თვიან პრაქტიკაზე, ან თუ სტუდენტი საჭიროებს კიდევ დახმარებას გარკვეულ დონეზე, მაშინ ორთვენახევრით მიჰყავთ მათ ტრენინგ ცენტრში კვიპროსში, სადაც სრულიად უფინანსებენ იქ ყოფნას და სწავლას. 2024 წლის განმავლობაში წასული იყო 13 სტუდენტი, ჯამში თანამშრომლობის განმავლობაში 35 სტუდენტამდე იყო ჩართული ამ პროგრამაში. 2025 წელს უნივერსიტეტმა დაიწყო მათთან ახალი პროგრამა „Smart Academic“, ამ შემთხვევაში პირველივე კურსიდან არჩევენ ბავშვებს, უტარებენ ზოგად ფსიქოტესტებს, გასაუბრებეს და როდესაც აღწევენ დამაკმაყოფილებელი კრედიტების რაოდენობას, უწევთ გემზე გასვლა პრაქტიკებისთვის. გემწამყვანიდან კი სტუდენტებიდან წასულია 3 მექანიკოსი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:40
დასრულების დრო: 13:00

ავტორიზაციის საბჭომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საავტორიზაციო დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე, ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.1 და 2.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და 2.1 ქვესტანდარტის რჩევა გადაიტანა რეკომენდაციაში მცირედი კორექტირებით („უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა არ იყოს მიბმული კონკრეტულ პერიოდზე, არამედ დარჩეს დინამიური და მუდმივად განახლებადი. გეგმის რეგულარული გადახედვა და განახლება აუცილებელია ტექნოლოგიური, ინფრასტრუქტურული, კადრებისა და რისკების ცვლილებების შესაბამისად. ასევე, სავალდებულოა მისი პერიოდული ტესტირება და პერსონალის გადამზადება, რათა კრიზისულ სიტუაციებში უნივერსიტეტის ფუნქციონირება არ შეფერხდეს“). აღნიშნულმა გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ასევე მე-7 სტანდარტის 7.1 კომპონენტში გაცემული რჩევების გადახედვის, გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 7.1 კომპონენტში არსებული რჩევა მცირედი კორექტირებით („უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ხიდურისა და სამანქანო განყოფილების სიმულატორების ისეთი ორგანიზება, რომ ისინი მხოლოდ საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის იყოს განკუთვნილი, რაც უზრუნველყოფს ამ პროგრამების მდგრადობასა და ეფექტურ განხორციელებას“) გადაიტანა რეკომენდაციებში. გარდა ამისა, დაამატა ახალი („უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს საზღვაო პრაქტიკის უზრუნველყოფის სისტემური მიდგომა, რომელიც მოიცავს მარტივად ვერიფიცირებად პრაქტიკის გავლის დადასტურებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია, მარეგულირებელი დოკუმენტაციის შექმნა/განახლება, ასევე საზღვაო პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვის მექანიზმის შემუშავება, რაც უნდა მოიცავდეს ფოტო-ვიდეო მტკიცებულებებს, ინსტრუქტორის მონაცემებსა, ჩატარებული პრაქტიკული სწავლების მონაცემებს და ა.შ“) რეკომენდაცია, თუმცა მე-7 სტანდარტის შეფასებაზე გავლენა არ მოუხდენია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების, ერთ წელში დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის, 2 წლის განმავლობაში მონიტორინგის განხორციელებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 1^1 პუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) ერთი წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ორი წლის თავზე წარდგენილი ანგარიშის შეფასება განხორციელდეს გეგმური მონიტორინგის ფარგლებში.
აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 12 თებერვალს.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, მკაფიოდ გაიმიჯნოს უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების ფუნქციები და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი განსხვავებული კომპეტენციების მქონე სტრუქტურული ერთეულების გადაწყვეტილებებში ჩარევა;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მართვის პროცესებში სტუდენტების მონაწილეობა;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სამეცნიერო - კვლევითი პროცესების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა საჭირო მექანიზმების შემუშავებით და ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის განსაზღვროს კონკრეტული სამიზნე ნიშნულები;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მმართველ ორგანოებში არჩეული პირების მონაწილეობა და მხარი დაუჭიროს მათ დამოუკიდებელ ქმედებებს;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტუდენტური ელექტრონული სისტემის ეფექტური მონიტორინგის მექანიზმები;
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა არ იყოს მიბმული კონკრეტულ პერიოდზე, არამედ დარჩეს დინამიური და მუდმივად განახლებადი. გეგმის რეგულარული გადახედვა და განახლება აუცილებელია ტექნოლოგიური, ინფრასტრუქტურული, კადრებისა და რისკების ცვლილებების შესაბამისად. ასევე, სავალდებულოა მისი პერიოდული ტესტირება და პერსონალის გადამზადება, რათ კრიზისულ სიტუაციებში უნივერსიტეტის ფუნქციონირება არ შეფერხდეს;
- რეკომენდებულია, სისტემატურად განხორციელდეს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს ყველა საჭირო ეტაპთან სრულ შესაბამისობას და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება იქნება გარანტირებული და შემოწმებადი;
- რეკომენდებულია, სტუდენტების აქტიური მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში და მათი ჩართულობა ხელს უნდა უწყობდეს შედეგების გაუმჯობესებას;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პლაგიატის გამოვლენის დამატებითი მექანიზმები, რათა მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი არ იყოს ერთადერთი და ხისტი ინდიკატორი;
- რეკომენდებულია, უცხოეთიდან მეტი პერსონალის მოზიდვის მიზნით, შემუშავდეს უფრო მიზნობრივი დასაქმების სტრატეგიები. ასევე, რეგულარულად ჩატარდეს პერსონალის კმაყოფილების კვლევები არსებული პოლიტიკის ეფექტურობის შესაფასებლად და პერსონალის მართვის გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად;
- რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გადახედვა და კორექტირება, უსდ-ში შეიქმნას სწავლებისა და კვლევისთვის ეფექტური გარემო;
- რეკომენდებულია, მოხდეს პერსონალის დატვირთვის მუდმივი განახლება, რათა მათ სწავლების პასუხისმგებლობებთან ერთად, ჰქონდეთ საკმარისი დრო კვლევისთვის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარებისთვის;
- რეკომენდებულია, პერსონალს მიეცეს მეტი შესაძლებლობა ჩაერთოს კვლევაში და მონაწილეობა მიიღოს აკადემიურ კონფერენციებში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას;
- რეკომენდებულია კვალიფიციური და გამოცდილი აქტიური მეზღვაურების აკადემიური პერსონალად დასაქმება, საზღვაო განათლების პროგრამების ხარისხისა და შესაბამისობის გაძლიერების მიზნით;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების, კერძოდ, დანართი 11-ის – „უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერის“, გადახედვა და საერთაშორისო სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობის შეზღუდვა, თუ ისინი მაღალ დონეზე არ ფლობენ პროგრამის სწავლების ენას;

- რეკომენდებულია, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა დაიცვას საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობა, განსაკუთრებით კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/N ბრძანება, რომელიც შეეხება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესებსა და მოთხოვნებს;
- რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერება უნივერსიტეტის აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმები სამეცნიერო ნაშრომების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების გასაზრდელად;
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი მათი კვლევითი კომპონენტების გაუმჯობესების გზით;
- რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობა;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ვებგვერდზე განათავსოს ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის ფინანსური ანგარიშები, საბაზისო სტატისტიკა, განხორციელებული კვლევები და მათი შედეგები. ასევე, უზრუნველყოს, რომ ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი ინფორმაცია იყოს იდენტური;
- რეკომენდებულია, ბიუჯეტში ცალკე იყოს ასახული ისეთი ძირითადი ხარჯები, როგორიცაა ტრენინგ ცენტრისა და სასწავლო გემის საოპერაციო ხარჯები, ფინანსური რესურსების ნათლად გააზრებისა და სწორი ანალიზისათვის;
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს საზღვაო პრაქტიკის უზრუნველყოფის სისტემური მიდგომა, რომელიც მოიცავს მარტივად ვერიფიცირებად პრაქტიკის გავლის დადასტურებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია, მარეგულირებელი დოკუმენტაციის შექმნა/განახლება, ასევე საზღვაო პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვის მექანიზმის შემუშავება, რაც უნდა მოიცავდეს ფოტო-ვიდეო მტკიცებულებებს, ინსტრუქტორის მონაცემებსა, ჩატარებული პრაქტიკული სწავლების მონაცემებს და ა.შ;
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ხიდურისა და სამანქანო განყოფილების სიმულატორების ისეთი ორგანიზება, რომ ისინი მხოლოდ საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის იყოს განკუთვნილი, რაც უზრუნველყოფს ამ პროგრამების მდგრადობასა და ეფექტურ განხორციელებას.

რჩევები:

- სასურველია, ხელმძღვანელობამ ყველა დაინტერესებულ მხარესთან, თანამშრომლებთან და განსაკუთრებით სტუდენტებთან თანამშრომლობით განახორციელოს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია სტრატეგიული განვითარების მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილი აღწერა, იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა მათ პრაქტიკულ განხორციელებასა და ყოველდღიურ აქტივობებს შორის;
- უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი იქნება, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა არ იყოს მიბმული კონკრეტულ პერიოდზე და მისი განახლება ხდებოდეს საჭიროებისამებრ;
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლება და აღნიშნული მიზნით, დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები, რაც არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ პლაგიატის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას;
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლება და აღნიშნული მიზნით, დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები, რომელიც არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ პლაგიატის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას;

- სასურველია, არჩევითი კურსების ფარგლებში ბაკალავრიატის სტუდენტებს მიეცეთ ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენების შესწავლის შესაძლებლობა;
- სასურველია, სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამის კრედიტები არ იყოს ერთნაირი (5 კრედიტი) და განისაზღვროს პრიორიტეტულობის, სირთულის და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით;
- სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს სტუდენტების საინოვაციო პროექტები და უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტის სახით მათი ინჟინერიის პროგრამებში ინტეგრირება;
- სასურველია, განათლების ორივე საფეხურზე გადაიხედოს აკადემიური წერის კურსების საჭიროება (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) ან მათში თემების გამეორების თავიდან აცილება;
- სასურველია, საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმებში მკაფიოდ გაიმიჯნოს კურსის სტატუსი - რომელ სასწავლო სფეროს მიეკუთვნება: ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტს (სავალდებულო ნაწილი), ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტს (არჩევითი ნაწილი), თავისუფალ კომპონენტს (სავალდებულო ნაწილი) თუ თავისუფალ კომპონენტს (არჩევითი ნაწილი);
- სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტებსა და პერსონალს შორის თანამშრომლობა – შეიქმნას მეტი ფორმალური და არაფორმალური შესაძლებლობა, რომელიც პერსონალს საშუალებას მისცემს სტუდენტებთან საკლასო სივრცის მიღმაც იმუშაონ, მაგალითად, მენტორობის პროგრამები, საკონსულტაციო საათები და სხვა;
- სასურველია, ეკონომიკურ აგენტებთან ჩამოყალიბდეს ფორმალური კვლევითი პარტნიორობა სახელშეკრულებო შეთანხმებების და ურთიერთგაგების მემორანდუმების მეშვეობით;
- სასურველია, გაუმჯობესდეს გარე წყაროებიდან დაფინანსების მოზიდვის მექანიზმები;
- სასურველია, კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება საერთაშორისო უნივერსიტეტების კოლეგებთან თანამშრომლობითი პუბლიკაციებისა და ერთობლივი სამეცნიერო პროექტების რაოდენობის ზრდით.

2. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 13 სექტემბრის №1118782 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წ ევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა, აღნიშნა, რომ ცენტრში შემოვიდა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის წერილი, რომლითაც დაწესებულება ითხოვდა გადაწყვეტილებაში ხარვეზის გასწორებას, კერძოდ, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მითითებული უნდა ყოფილიყო 600, ნაცვლად - 500 - ისა, დამატებით აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭომ დაწესებულებას გამოუცხადა ზღვრული რაოდენობა - 500, ამიტომ, აღნიშნული ჩაიწერა საბჭოს გადაწყვეტილებაშიც, თუმცა, დაწესებულებას ცენტრისადმო მოწერილ წერილში მოთხოვნილი ჰქონდა - 600 სტუდენტი.
ავტორიზაციის საბჭომ იმსჯელა რა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ კორესპონდენციაზე, თავიდან განიხილა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო კონტინგენტის საკითხი და დაადგინა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 13 სექტემბრის №1118782 გადაწყვეტილებაში არ არის დაშვებული ტექნიკური შეცდომა. შესაბამისად, დაწესებულებას დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 500.

"სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 07 ივლისის № 848338 გადაწყვეტილებაში ხარვეზის
გასწორების და შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ
საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა "შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 13 სექტემბრის №1118782 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტს უარი ეთქვას "შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 13 სექტემბრის №1118782 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №1318296 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წ ევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადეს ივანე ჯაგოდნიშვილმა და დავით ლეშკაშელმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **სხდომის მდივნად განისაზღვრა მიხეილ გურგენიძე.**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა, აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ №1499566, 2024 წლის 20 ნოემბრის წერილით მომართა ცენტრს და აცნობა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 12 იანვრის N21586 გადაწყვეტილებით, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე. მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება ჩამოყალიბდა, როგორც "ჟურნალისტიკის ბაკალავრი", თუმცა, 2024 წლის 27 სექტემბერს გამართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცაციის საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების დანართში, საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციად მითითებულია, როგორც "მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი". მისი თქმით, ცენტრმა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამწერილის საფუძველზე, დაწესებულებას წერილით მიმართა და სთხოვა მოსაზრების წარმოდგენა. დაწესებულების მიერ ცენტრში შემოსულ წერილში მოცემულია, რომ საავტორიზაციო განაცხადის თვითშეფასების ანგარიშში გაიპარა ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ, „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციად დაფიქსირებული იყო "მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი", ნაცვლად - "ჟურნალისტიკის ბაკალავრისა". შესაბამისად, დაწესებულება ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №1318296 გადაწყვეტილების პროგრამების დანართში “ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის გასწორებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №1318296 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №1318296 გადაწყვეტილების პროგრამების

დანართში “ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია გასწორდეს და ნაცვლად "მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრისა“, განისაზღვროს „ჟურნალისტიკის ბაკალავრი“.

სხდომა დასრულდა დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 2025 წლის 12 თებერვლის 13:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
სხდომის მდივანი
გურგენიძე მიხეილ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
იოსელიანი თამარ